წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 12

ქ. წყალტუბო

8 აგვისტო, 2024 წელი

2024 წლის 8 აგვისტოს, 12:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - კობა გურეშიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: სერგო კირკიტაძე და გიორგი დოლიძე;

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: მაკა ჭელიძე, არჩილ ღიბრაძე, შალვა კილაძე, ლევან ჩანქსელიანი, რევაზ დიდავა;

ფრაქციის თავმჯდომარე: გიორგი ფაჩუაშვილი;

საკრებულოს წევრები: ნაილი ჭოლაძე, ლატავრა ბენდელიანი, ომარ სინაურიძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, ირინე ცაავა, იასონ ბზიკაძე, ხათუნა მაღლაკელიძე, დევი დოლაბერიძე, ალექსანდრე ნიქაბაძე, ვეფხვია ბანძელაძე, მამუკა ჩხეტიანი, ავთანდილ მხეიძე, ნოდარ ასათიანი, დავით ხიდეშელი, სოფიო ბოლქვაძე, რუსუდან მანაგაძე, ავთანდილ გაბუნია.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ნინო ჭეიშვილი, ვლადიმერ ხურცია, ჯეირან ომანაძე, სალომე ჯიმშელეიშვილი, ზურაბ ლექვინაძე, ვასილ მხეცაძე, თენგიზ გოგელია, გალაქტიონ ხარაბაძე, გელა ბურჯალიანი, ნარგიზა ტყაბლაძე, ფიქრია ერემეიშვილი, ზურაბ იოსელიანი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - გია კვასტიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ფატი გაგოშიძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი - ნიკა მჟავია, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი - გელა თათარაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე - მზია კიკალიშვილი, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ქეთევან კირტავა, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი - მაია ბერაძე, საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - განყოფილების უფროსი - ირინა ჩაკვეტაძე, საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა და მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას.

საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ 16 წელი გავიდა რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომიდან და დამსწრე საზოგადოებას მიმართა წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ დაღუპულთა ხსოვნისადმი.

თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: არჩილ ღიბრაძე, თანამომხს: ფატი გაგოშიძე/

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს: არჩილ ღიბრაძე, თანამომხს: ფატი გაგოშიძე/

3. ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი #29.08.34.014.01.507) პირველ სართულზე განთავსებული 36.6 კვ.მ. ფართის ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის" „დღის საქმიანობის ცენტრის" მოწყობა/ფუნქციონირებისა და პროექტების ჯეროვნად იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

/მომხს. რევაზ დიდავა, თანამომხს. მ.კანკაძე/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.
მომხრე -27
წინააღმდეგი -0
არ მიიღო მონაწილეობა -0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე - 24
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 3 (დავით ხიდეშელი, სოფიო ბოლქვაძე, რუსუდან მანაგაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.

2. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩილ ღიბრაძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის #52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ გამოუთქვამთ. სხდომის თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 3 (დავით ხიდეშელი, სოფიო ბოლქვაძე, რუსუდან მანაგაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის #52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი /თან ერთვის ოქმს/.

3. **მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი - ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი #29.08.34.014.01.507) პირველ სართულზე განთავსებული 36.6 კვ.მ. ფართის ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის" „დღის საქმიანობის ცენტრის" მოწყობა/ფუნქციონირებისა და პროექტების ჯეროვნად იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები და წინადადებები არ გამოუთქვამთ. სხდომის თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე - 24

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 3 (დავით ხიდეშელი, სოფიო ბოლქვაძე, რუსუდან მანაგაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი - ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ. კოდი #29.08. 34.014. 01. 507) პირველ სართულზე განთავსებული 36.6 კვ.მ. ფართის ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის" „დღის საქმიანობის ცენტრის" მოწყობა/ფუნქციონირებისა და პროექტების ჯეროვნად იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე, მიღებული იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: თ. ჭეიშვილი — თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნ. კობერიძე — ნონა კობერიძე